



ქართული უნივერსიტეტი

მოსწავლეთა VIII პირადგუნდური საგნობრივი ოლიმპიადა

მათემატიკა - II კლასი

მონაწილის გვარი, სახელი, ტელეფონი _____

სკოლა, კლასი _____

თანაგუნდელის გვარი, სახელი _____

მასწავლებლის გვარი, სახელი _____


ამოცანები

- მატარებლის პირველ ვაგონს მიაწერეს 1, მეორე ვაგონს - 2, მესამე ვაგონს - 3 და ასე გააგრძელეს გადანომვრა. ყველა ვაგონის დასანომრად საჭირო გახდა 14 ცალი 3-იანის დაწერა. რამდენვაგონიანია ეს მატარებელი?
- აჩის აქვს ორი ცალი 20-ლარიანი, ორი ცალი 10-ლარიანი, სამი ცალი 5-ლარიანი, სამი ცალი 2-ლარიანი და სამი ცალი 1-ლარიანი.. რამდენნაირად შეიძლება შეადგინოს აჩიმ 26 ლარი?
- მზიას და მარის ერთად 93 ლარი აქვთ. მარის თანხა მზიას თანხის გაორმაგებულს 3 ლარით აღემატება. რამდენი ლარი აქვს თითოეულ მათგანს?

- აქ გამოსახულ ექვს სტრიქონში რიცხვებია ჩაწერილი. ზოგიერთი ციფრი ჩანს, ზოგიერთი დაფარულია. ცნობილია, რომ ყოველ სტრიქონში ექვსი ციფრი უნდა იყოს; პირველ, მესამე და მეხუთე ადგილებზე ჩაწერილი ციფრების ჯამი ტოლი უნდა იყოს მეორე, მეოთხე და მეექვსე ადგილებზე ჩაწერილი ციფრების ჯამის. მონიშნეთ ის სტრიქონი, სადაც შეიძლება ასეთი ციფრები იყოს ჩაწერილი და სრულად შეავსეთ ეს სტრიქონი.

□	3	□	4	9	1
8	2	□	□	6	2
5	3	9	1	□	□
8	□	7	2	6	□
1	3	□	9	□	7
3	8	1	□	3	□

- აქ გამოსახულ წრეებში ისე განლაგეთ რიცხვები: 1, 2, 3, 4, 5, 6 და 7, რომ სურათზე ისრებით მითითებული ყოველი მიმართულებით განლაგებულ რიცხვთა ჯამი იყოს ერთი და იმავე რიცხვის ტოლი. სულ ხუთია ასეთი მიმართულება.



- მოცემულ სურათზე გაამუქეთ 11 პატარა უჯრა ისე, რომ დიდი ოთხკუთხედის ყოველ გვერდთან იყოს მხოლოდ 3 გამუქებული უჯრა.

